


სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 450.

კვირა, 13 ნოემბერი 1911 წ.

დამატების № 79



განხვენებულ ნ. ზ. ცხვედაძის გვამი კუბოში.
ნახატი კოტე ქავთარაძისა.

სოცხალი გვამი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

(შემდგომი *)

სურათი მორკე.

პროტასოვიანთ სასტუმრო ოთახი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

კარენინი და ლიზა.

კარენინი. ისეთი მტკიცე პირობა მიუტია, რომ დარწმუნებული ვარ, შეასრულებს თავის სიტყვას.

ლიზა. თუმცა მცხვენიან, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იმის შემდეგ რაც შევიტყე იმ ბოშის ქალის ამბავი, სრულიად თავისუფლად ვიგრძენი თავი. ეს იქვენულობა კი არა, იცით, თვით ვანთავისუფლებია. ერთი სიტყვით, არ ვიცი როგორ აგისხნათ.

კარენ. ისიც თქვენ.

ლიზა. (ღიმილით).—შენ. კარგი, ნუ მაშლევინებთ, ნუ მიშლი ისა ვთქვა, რასაცა ვგრძნობ. უმთავრესად ისა მტანჯავდა, რომ თითქოს ორივეს სიყვარულსა ვგრძნობდი. და ეს ხომ იმას მოასწავებდა, რომ უზნეო დედაკაცი ვარ.

კარენ. შენ უზნეო დედაკაცი?!

ლიზა. მაგრამ მერე ვი, როდესაც გავიგე, რომ იმას უკვე სხვა ქალი აუჩენია და ამიტომ აღარ ვუნდივარ, გავნთავისუფლდი და ვიგრძენ, რომ ეხლა ტყუილი აღარ იქნება ვთქვა, მიყვარხართ თქვენ,—შენ... ეხლა გულზე მომეშვა, მხოლოდ ჩემი მდგომარეობა მაწუხებს, ეს განქორწინება. ამის მოლოდინი. ყველა ეს სატანჯველია.

კარენ. ეხლავე, ეხლავე გადასწყდება. იმის გარდა, რომ ის დაპირებულია, მეც ვსთხოვე მღივანს იმასთან წასულიყო უკვე დაწერილ თხოვნით და უკან არ დაბრუნებულიყო, ვიდრე ხელს არ მოაწერინებდა. რომ იმას კარგად არ იცნობდე, ვიფიქრებდი, ასე განზრახ იქცევა მეუქი.

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 78.

ლიზა. ისა? არა, ეგ სულ იმისი ხასიათის სისუსტით და პატიოსნებით აისხნება. სიცრუის თქმა ეზარება, ლაპარაკი. ფული კი ტყუილად კაუჭავანთ.

კარენ. საჭირო იყო; შეიძლება გაუჭავანთო საქმის შემფერხებელ საბაბად გამხდარიყო.

ლიზა. არა, ფულის გაგზავნა როგორღა კარგი არ იყო.

კარენ. ეჰ, იმას ექირვება ნაკლებად იყოს pointilleux...

ლიზა. როგორი ეგოისტები გავხდებით ხოლმე!

კარენ. მართალია, ვნანობ. შენ კი ხარ დამნაშავე. ამოდენ მოლოდინისა, ამოდენ უიმედობისა,—ეხლა ისეთი ბედნიერი ვარ! ბედნიერება კი კაცს აეგოასტებს. სულ შენი ბრალია.

ლიზა. შენ ფიქრობ, მარტო შენ კი არა, მეც მაგეთი ვარ. ვგონობ, ყელამდე სავსე ვარ, ბედნიერების მორევში ვსტურავ. მეტრე ყველაფერი ერთი მეორეს მოჰყვია, მიკაც გამოკეთდა, დედაშენსაც ვუყვარვარ, შენც და უმთავრესად კი მიყვარხარ?

კარენ. ჰო? უნაწურად საბოლოოდ?

ლიზა. იმ დღიდანვე ჩემში ყოველივე უცებ შეიცვალა.

კარენ. ხომ აღარ დაუბრუნდები?

ლიზა. არას დროს. მხოლოდ ერთს და ვნანობ, რომ შენც ისევე საბოლოოდ გადაწყვიტო, როგორც მე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

კარენი, ჯიზა და ძიძა ბავშვით. (შემოდან ძიძა და ბავშვი. ბავშვი დედასთან მიდის. დედა კაქთაშა ჩივისკის).

კარენ. რა უბედური ხალხი ვართ.

ლიზა. როგორ (ბავშვს ჰკატნას).

კარენ. შენ ხომ გათხოვდი და ეს ამბავი გავიგე საზღვარ გარეთიდან დაბრუნებისას, მაშინ ვიგრძენ შენი დაკარგვა, უბედურად ჩავთვალე ჩემა თავი და ისლა მანუგეშებდა, როცა გავიგე, რომ შენ კიდევ გახსოვდი. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო. შემდეგ, ჩვენი მეგობრული განწყობილება რომ აღვადგინეთ და ვხედავდი შენს ალერსს, დავრწმუნდი რომ ჩვენს მეგობრობაში იყო ერთი პაწაწა ნაპერწყალი, უფრო მეტი, ვიდრე მეგობრობა და ბედნიერი ვიყავი. მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ უპატრონოდ ვექცეოდი ფედიას. თუმცა მტკიცედა მრწამსი, რომ გარეშე წიდა მეგობრული სახვა გვარი განწყობილება არ შეიძლებოდა მქონოდა ჩემი მეგობრის ცოლთან.—მაგრამ შენი ამბავიც კარგად ვიცოდი, და ყველა ეს იქნებოდა აღარ მამოფოთებდა, კმაყოფილი ვიყავი. მხოლოდ შემდეგ, როცა ფედიამ შევიწროება დაგიწყო, ვიგრძენ, ჰსაჭიროებ ჩემს დახმარებას... შენ კი თითქოს ერიდებოდი ჩემს მეგობრობას, ერთობ ბედნიერად ვიგრძენ თავი და გულში გამოურკვეველი იმედი ჩამესხა. შემდეგ... როცა ფედია აუტანელი გახდა, შენც გადაწყვიტე თავის მინებება... როცა პირველად გავიმედაფე ყოველივე, შენ უარი არ მითხარი, მაგრამ ცრემლ-მორეული გატრიალდი, მაშინაც ვიგრძენ სრული ბედნიერება. და ჩემთვის რომ ეკათხათ, თუ კიდევ რას ვინატრებდი ვუპასუხებდი, არაფერს. მაგრამ შემდეგ დაიბადა სურვილი შემეერთებინა შენთან ჩემი სიცოცხლე; დედაჩემმა შეგიყვარა და შესაძლებელიც გახდა ამ სურვილის განხორციელება. შენ გამომიტყედი, რომ გიყვარდი და გიყვარვარ; მერე, როგორც ეხლა მითხარი, რომ იგი შენთვის აღარ არსებობს, რომ მხოლოდ მე გიყვარვარ,—კაცმა რომა სთქვა, მეტი რაღა იყო ჩემთვის საჭირო? მაგრამ არა, ეხლა, ეხლა წარსული

ლი მტანჯავს, მსურს, სულ არ იყოს ის წარსული, განქრეს ყოველივე, რაც კი ვაგვიხსენებს ამ წარსულს.

ლიზა. (ეგუდრებით).—ვიქტორ!

კარენ. ლიზა, პაპატიე. რასაც კი ვამბობ, ვამბობ იმიტომ რომ არა მსურს ჩემში დაიბადოს რამე აზრი შენზე შენს ფარულად. ყოველივე ეს განზრახ გითხარი, რომ დაგანახო, რა ცული რამა ვარ, რომ ამაზე შორს წასვლა არ შეიძლება, რომ ჩემს ესეთ ნაკლულევანებას უნდა შევებრძოლო და ვძლიო... დავძალე კიდევ—ის მიყვარს.

ლიზა. ეგრეც უნდა. ყოველივე, ჩავიდინე რაც კი შეგეძლო. ჩემში მოხდა ის, რის სურვილიც კი შენ შეგეძლო: ჩემი გულიდან ამოირეცხა ყოველივე, შენს გარდა.

კარენ. ყოველივე?

ლიზა. ყოველივე, ყოველივე! თორემ არც კი დავიწყებდი ლაპარაკს.

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

კარენი, ჯიზა, ძიძა ემწვიდით და ჯაქია.

ლაქია. ბატონი ვოზნესენსკი.

კარენ. ფედიასაგან პასუხს მოიტანდა.

ლიზა. (კარენის).—სთხოვეთ.

კარენ. (აღგება და კარებისაკენ მიდის).—აჰა, ესეც შენი პასუხი.

ლიზა. (ბავშვს ძიძას გადასცემს, რომეჯიგ გაიყვანს).—ნუ თუ ეხლა ყოველავე გადასწყდება, ვიქტორი? (ჰკატნის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

კარენი, ჯიზა და ვოზნესენსკა (შემოდის).

კარენ. რა ამბავი?

ვოზნ. იქ არ დამხვდნენ.

კარენ. როგორ თუ არა? თხოვნაზე ხელი არ მოუწერია?

ვოზნ. თხოვნაზე ხელი არ არის მოწერილი, მაგრამ წერილი დაუტოვებია თქვენთან და ელიზავეტა ანდრეევნასთან (ჯიბიდან იღებს და წკრიალს აწოდებს). იმის ბინაზე გახლდით. მიიხრეს, რესტორანშია წავალი. იქ ვნახე ფეოდორ ვასილევინი და მითხრა, ერთი საათის შემდეგ შემოიარე პასუხისათვის. მეც მიველი და აგერ...

კარენ. ნუ თუ კვლავ საქმას გადადებ, მიზეზები? არა, ეს საძაგლობაა, როგორ დავცა!

ლიზა. ერთი წაიკითხე, რა სწერია! (კარენი წკრიალს გასხსნის).

ვოზნ. საჭირო ხომ არა ვარ თქვენთვის?

კარენ. ჰო, არა, მშვიდობით. გმადლობთ... (განკრება და გაკვირვებულა კითხულობს. ვოზნესენსკა გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა V.

კარენი და ჯიზა.


ლიზა. რა არის, რა?

კარენ. საშინელება!

ლიზა. (მიგზრება წკრიალს).—წაიკითხე!

კარენ. (კითხულობს).—ლიზა და ვიქტორ, მოკმართავთ თქვენ ორივეს. არ ვიცრუებ და არ დაგიძახებთ ძვირფასებს და საყვარლებს. ვერ დამიმორჩილება გრძნობა სიმწარისა და ყვედრებისა,—ყავედრი ჩემს თავს, როდესაც ვფიქრობ თქვენზე, თქვენს საყვარულზე, თქვენს ბედნიერებაზე. ყველაფერი ვიცი. იმისდა მიუხედავად, რომ ქმარი ვარ, ვიცი რომ მრავალ შემთხვევების გამო ხელს შეგიშლით. C'est moi, qui suis l'intrus. მაგრამ მაინც არ შემიძლიან შევიკავო გრძნობა სიმწარისა და სულ-

სოციალური გეგმა



არტეზიკა. ეი, პოლიციელო!.. ოქმი შეადგინე!.. (მეხუთე მოქმედების პირველი სურათი).

გრძელობისათქვენდამი. თეორეტიკულად თქვენს ორივე მიყვარხართ, განსაკუთრებით ლიზა, ლიზენკაი, მაგრამ დანამდვილებით კი თქვენდამი გული ცივი მაქვს, უფრო მეტიც. იცი, რომ არა ვარ მართალია, მაგრამ გამოცვლაც არ შემიძლიან“.

ლიზა. როგორ...

კარენ. (კანკაძობს გითხვას).—მაგრამ ვალდებულად საქმეზე! სწორედ ესევე ჩემი ორ-არსად გამყოფი გრძობა, მაიძულებს სხვ გზით, ვიდრე თქვენ ეს გეწიდათ, ავისრულოთ თხოვნა. ვიცრუო, ვითამაშო საზიზლარი კომედია, ქრთამი შევადლო კონსისტორიაში,—ყველა ეს აუტანელი და საზიზლარი სისაძაგლე ჩემთვის. რაც გინდა საზიზლარი ვიყო, საზიზლარი ვარ სხვა გვარი, და იმ სისაძაგლეში კი არ შემიძლიან მივიღო მონაწილეობა, ერთი სიტყვა არ შემიძლიან. მეორე გამოსავლელი გზა, რომელსაც დავადექ, სულ უბრალოა: თქვენ უნდა შეუდგეთ, რომ გაბედნიერდეთ, თქვენ კი ხელს გიშლით,—მაშასადამე, უნდა მოვისპო...

ლიზა. (კარენის ხეჯში სტაკებს). ვიტორ!

კარენ. (კათხუჯობს).. უნდა მოვისპო. და მოვისპობი კიდევაც. როდესაც თქვენ ამ წერილს მიიღებთ, ცოცხალი აღარ ვიქნები.

P. S. ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენ ფული გამოგვხვანათ განქორწინების საქმის საწარმოებლად. ეს მეტად უსიამოვნო იყო და არ გეკადრებოდათ. მაგრამ, რა ვუყოთ? თუ ჰრავალჯერ შევმცდარვარ, შეიძლება თქვენც ერთხელ შესცდით. ფულებს გიბრუნებთ. ჩემი არჩეული გზა მოკლეა, იაფი და ნამდვილი. ერთსა გთხოვთ: ნუ გამიწყობით და კეთილად მიხსენიებდეთ. ერთი კიდევ: აქ ერთი მესაათეა, ევგენიევი. იქნება შეიძლოთ უშველოთ და ხელი მოუშართოთ? ის სუსტია, მაგრამ კარგი კაცია. მშვიდობით. ფელაა“.

ლიზა. თავი მოუკლავს! აჰ!..

კარენ. (ზარს რეკავს, კარბის გასვალ კარბისაქვენ)—დააბრუნეთ ბატონი ვოზნესენსკი!

ლიზა. ვიცოდი, ვიცოდი! ფელა, საყვარელო ფელა!

კარენ. ლიზა!

ლიზა. ვტყუოდი, ტყუილია, ვითომ, არ იყვარებოდეს, არ მიყვარდეს! მარტო ის მიყვარს! მიყვარს! დავლუპე ის! თავი დამინებე! (შემაღის ვოზნესენსკი).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VI.

კარენი, ლიზა და ვოზნესენსკი.

კარენ. ფეოლორ ვასილიჩი სადღაა? რა გითხრეს?

ვოზნ. მითხრეს, დილას გავიდა და აღარ დაბრუნებულაო, ეგ წერილი დაუტოვებია.

კარენ. ეს უნდა შევიტყოთ. ლიზა, მარტო დაგტოვებ.

ლიზა. მაპატიე და მეც არ შემიძლია ვიცრუო. ეხლა თავი დამინებე. წადი, შეიტყე...

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეხუთე.

სურათი პირველი.

ტრაქტირისა უსუფთაო ოთახი. ერთ მაგიდასთან მყოფნი სვამენ ჩაის და არაყს. უმთავრეს ადგილას კი, პატარა მაგიდასთან ზის დაცემული და დამონძილ ტანისამოსში ფელა და იმასთან კიდევ პეტუშკოვი, კაცი გულკეთილი, სათუთი გრძობის; გრძელი თმა აქვს და სასულაერო პირს უფრო ჰკავს. ორივენი ცოტა გადაკრულში არიან.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა I.

ფელა და პეტუშკოვი.

პეტუშ. მესმის, მეამის. აი ეგ ნამდვილი სიყვარული? ჰო და, მერე?

ფელა. ჰო, იცით, მესმის, ესეთი გრძობიერება გამოეჩინა ჩვენი წრის ქალს, ყოველივე მსხვერპლად შეეწირა საყვარელ კაცისთვის... მაგრამ აქ ვიღაც უბრალო ბოშის ქალიშვილი, გაუღნთილი ანგარებით და ესეთი წმიდა, თავდავიწყებული სიყვარული! ყველაფერსა გწირავს და შენგან არაფერს ითხოვს. ასეთი კონტრასტი.

პეტუშ. ღიან, მაგას ჩვენ მხატრობაში ვალიორი ჰქვია. მხოლოდ ნაშინაა შესაძლო მიიღო დაეღაწა წითელი ფერი, როდესაც გარს ავლია მწვანე. ჰო და საქმე მაგაში როდია! მესმის, ღიან მესმის...

ფელა. ჰო, ერთი კიდევ იმითა ვგრძობ სულის სამშვიდეს, რომ არ ჩგებია იმ ქალს სიყვარული. და იცით, რატომ?

პეტუშ. სიბრალოულით.

ფელა. არა. ჩემში მისდამი სიბრალოულის გრძობა არ იყო. ჩემში ყოველთვის იყო აღტაცება და როცა კი მღეროდა,—ახ, მერე როგორა მღეროდა, შეიძლება ეხლაც მღეროდეს.—ყოველთვის შევცქეროდი, როგორც ჩემზე მალლა მღვამს. არ დავლუპე მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარდა. გულწრფელად მიყვარდა. და ეხლაც კი კარგი, საუკეთესო მოგონებაა ჩემთვის (სვამს).

პეტუშ. მესმის, მესმის. იდეალურია.

ფელა. აი, კიდევ რას გეტყვით: ჩემ ცხოვრებაში იყო გატაცებანი. ერთხელ შეყვარებულიც კი ვიყავ. მიყვარდა ერთი ლამაზი ქრმინი ქალი, რომელსაც მივეწებე საძაგლად, ძალღუჟად; იმ ქალმა დამინიშნა შესახვედრი ადგილი, მაგრამ აქ აღარ წავეღ, იმიტომ რომ ეს უსი.

ნიდისობად ჩავთვალე იმის ქმრის წინაშე. დღევანდლა-
მდღე კი საკვირველია, — როცა გამახსენდება ხოლმე,
მინდა ვიმხიარულო და ვაქო ჩემი თავი, რომ მაშინ
პატიოსნურად მოვიქეცი, და... ანსთანავე ვინანიებ
როგორც ცოდოს. აქ, მაშასთან კი, — პირ-იქით, ყო-
ველთვის მიხარია, მიხარია, რომ არაფრით შეუ-
რაცმიყვია ეს წმიდა გრძობა... შეიძლება მეტად და-
ვეცე, სრულიად დავეცე, ყველაფერი გავიძრო და
გავყილო, მკბენარები მკამდნენ, მაგრამ ეს ბრილიანტი,
ბრილიანტი კი არა, მზის სხივია, დიახ, — იქნება ჩემში,
იქნება ჩემთან!

პეტუშ. მესმის, მესმის. სად არის ეხლა?

ფელია. არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე. ყველა ეს სხვაგვარ
ცხოვრების დროს იყო და არ მინდა დავუკავშირო ეხ-
ლანდელს. (უკანა მაგიდასთან მოისმის ქაღალის კოფილი.
ტრაქტორის ზატრანს და ზოლიფიქსს გაჭყავს. ფელა და
პეტუშკოვა უტყუარან და განუშუბუდი უფრს უგდებენ).

პეტუშ. (სმაურება რომ დაწუნაქდება) დიახ, თქვენი ცხო-
ვრება საოცარი ყოფილა.

ფელია. არა. სრულიად მარტივი. ყველა ჩვენთვის, იმ წრი-
სათვის, რომელშიაც დავიბადე, სამი რამეა ასარჩევი, —
მხოლოდ სამი: იმსახურო, შეიძინო ქონება და გააფარ-
თოვო ის სისაძაგლე, რომელშიაც სცხოვრობ. ეს მე-
ზიზღებოდა, იქნება ვერც ვახერხებდი, მაგრამ მთავარი
მიზეზი კი ის იყო, რომ მეზიზღებოდა. მეორე — ძირს
უნდა უთხრიდე ამ სისაძაგლეს; ამას გმირობა უნდა,
გმირი არა ვარ. ან კიდევ მესამე — თავდავიწყებას მიე-
ცე, სხვა, დრო ატარო, იმღერო, — აი მეც სწორედ ამას
ყზადიოდი, რამაც ამ დღემდე მომიყვანა!.. (სვამს).

პეტუშ. ოჯახური ცხოვრება? ბედნიერი კი ვიქნებოდი ცო-
ლი რომ მყოლოდა. ცოლმა დამღუპა.

ფელია. ოჯახური ცხოვრება? როგორ არა. ჩემი ცოლი
იდეალური დედაკაცი იყო. ის ეხლაც ცოცხალია, მაგ-
რამ, აბა, როგორ ვითხრა? რაღაც უფერულად მიმდი-
ნარეობდა ჩვენი ცხოვრება. ჩემთვის თავდავიწყება იყო
საქირა. და თუ ცხოვრებაში გამართობელი რამ ხალი-
სი არ არის, თავდავიწყებას ვერ მიეცემი. შემდეგ სი-
საძაგლეს მიყვე ხელი. და ხომ უწყვი: ჩვენ სხვა გვი-
ყვარს იმ სიკეთისთვის, რომელიც ჩვენ იმისთვის ჩა-
გვიდგნია და არ გვიყვარს იმ ბოროტებისთვის, რაიც
ჩვენ იმისთვის მიგვიყენებია. ბოროტად ვმტკიცადი ჩემს
ცოლს და იმას კი თითქოს ვუყვარდი კიდევ.

პეტ. რად ამბობთ, თითქოსო?

ფელია. იმიტომ ვამბობ, რომ იმას არა ჰქონდა ის უნარი
სულში ჩაძვრენისა, როგორც მაშას. მაგრამ ეგ კიდევ
არა. ის ან ორსული, ან მასაზრდოებელი იყო ხოლმე,
ამ დროს დავიკარგებოდი და მთვრალი ვბრუნდებოდი.
რა თქმა უნდა, ამიტომ ის სულ ნაკლებ და ნაკლებ
მიყვარდა. ჰო, ჰო (იგანებს). აი ეხლა მომაგონდა:
მაშაც იმიტომ მიყვარს, რომ იმას სიკეთე ვუყავ და არა
სიმოროტე. ცოლს კი ვტანჯავდი და ამიტომაც... არ
ვიტყვი, რომ არ მიყვარდეს... არა, ერთი სიტყვით
არ მიყვარს! მართალია ვიქვეყნობდი, მაგრამ ამა-
ნაც გაიარა.

გ ა მ ხ ვ ლ ა II.

ფელია, პეტუშკოვა და არტემიევი. იმათ მიუხედავად არტე-
მიევი, უღვაშებ შედგებოდი, კაკარდინი ქედით და დაკრე-
ბული ტანისამოსით.

არტემიევი. შეგარგოთ (ფელას თავს უკრავს). გაეცანით
მსახიობს, მხატვარს?

ფელია. (ფიჯად) ჰო, ჩვენ ნაცნობები ვართ.

არტემ. (პეტუშკოვს) როგორ, პორტრეტი გაათავეთ?

პეტ. არა, საქმე ჩაიფუშა.

არტ. (დაჯდება) ხელს ხომ არ გიშლით? (ფელა და პეტუ-
შკოვა წყმიად აჩიან).

პეტ. ფედორ ვასილევჩი მიამბობდა თავის ხოვრებას,
არტ. საიდუმლოება? მაშ, კარგი, ხელს არმევიშლით, გა-
ნაგრძეთ. სრულიადაც არა მქირდება. ღორები! (გადა-
ინჯდება მახლობელ მაგიდასთან და უდს მოითხვს.
ერთთავად უჭრს უგდებს ბას ფედას და პეტუშკოვისს,
რომლებსაც კანაგ გადახრიდა).

ფელია. არ მიყვარს ეგ ვაუბატონი.

პეტ. იწყინა.

ფელია. დემრთმა გზა მისცეს! რომ არ შემწლიან. მაგვარ
კაცს შევხვდები თუ არა, — ხმა ველა ამომილია. აი,
თქვენთან რა ადვილია და სასიამოოც. ჰო, რას
ვამბობდი?

პეტ. ამბობდით, რომ იქვეყნობდით. კაცი და როგორ-
ღა განშორდით თქვენს მეუღლეს?

ფელია. ეს! (ხეფიქდება) ეს საკვირველი მკიანეა. ჩემ ცოლს
ქმარი ჰყავს...

პეტ. ეგ როგორ? გაგეყარათ?

ფელია. არა (იღიშება). დაქვრივდა.

პეტ. ესე იგი, როგორ თუ?

ფელია. ისე, ქვრივია. ხომ აღარა ვარ.

პეტ. როგორ თუ არა?

ფელია. არა და ისე. — ცოცხალი გვამი ვი, დიახ. (არტემიე-
ვი უფრო გადმოიხინიქება და უფრს უგდებს). იცით რა, —
შემიძლიან თქვენ გაამბოთ. ეს დიდ ხანია რაც მოხდა
და ჩემი ნამდვილი გვარი თქვენ არც კა იცის. საქმე
ასე იყო: როდესაც მეტის-მეტად დეტანჯე ჩემი ცო-
ლი, გავფლანგე რაც კი შესაძლებელი იყო და აუტა-
ნელი გავხდი, — ჩემს ცოლს მფარეოდ მოველინა...
კი არ იფიქროთ სხვა რამ სიბინძურ ან ბიწიერება, —
არა, ჩემივე მოკეთე და კარგი, ინებული აღამიანი,
ზნე-ხასიათით ჩემი სრული წინააღმდეგობა. ჩემში ცუ-
დი გაცილებით მეტია, ვიდრე სიეთე, ის კი იყო და
არის კარგი, საუცხოვო აღამიანი: პატიოსანი, თავ და-
ქვრილი, მტკიცე ხასიათისა და გუიკეთილი. ის პატა-
რაობიდანვე იცნობდა ჩემს ცოლს, უყვარდა იგი, მაგ-
რამ ჩვენი დაქორწილების შემდეგ ი შეურიდდა თავის
ბედს. ბოლოს და ბოლოს მეტი საძაგელი რომ
შევიქმენი, დავუწყე ცოლს ტანჯა-წვალება, იმანაც
მოუხშირა ჩვენ სახლში სიარული მეც ეს მინდოდა.
იმათ ერთმანეთი შეიყვარეს, იმ დროს მთლად გადვი-
რიე და ცოლს თავი მივანებე. ამვე დროს ეს მაშაც
გამოტყვრა. თითონ მივეცი მათ წინადადება დაქორწი-
ლებულიყვენ. იმათ არ უნდოდათ. მაგრამ მეტის-
მეტად აუტანელი ვხდებოდი... ეს კი იმით გათავდა
რომ...

პეტ. როგორც ყოველთვის...

ფელია. არა. დარწმუნებული ვარ და კარგად ვიცი, რომ
ისინი უცოდველნი იყვნენ. ის მორწმუნე კაცია, ჯვარ-
განდაუწერელი შეუღლება ცოდვად მიაჩნია. მთხოვეს,
ქორწინების ნება მიმეცა. დანაშაული ჩემს თავზე უნ-
და მიმელო. უნდა მეცრუენა. ტყუილები მეტქვა... ეს
კი არ შემეძლო. დამერწმუნეთ, ჩემთვის უფრო ადვი-
ლი იყო თავის მოკვლა, ვიდრე ცრუობა და კიდევ
ვაპირებდი თავის მოკვლას. მაგრამ, ამ დროს ერთი
კეთილი აღამიანი მეუბნება: რატომო? და ყველაფე-
რაც გავჩარხეთ. გამოსამწვიდებელი წერილი გაუგზავ-
ნე... მეორე დღეს წყლის პირად იპოვეს ჩემი ტანისა-
მოსი, საფულე და წერილები. ცურვა არ ვიცი.

(შემდეგი იქნება)

გ. ახალციხელი.

